სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/74

ქ. თბილისი 29 ივნისი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2026-2027 სასწავლო წლის დაწყების თარიღის განსაზღვრისა და აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სტუ-ის ვიცე-რექტორის, პროფესორ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2026-2027 სასწავლო წელი დაიწყოს 2026 წლის 21 სექტემბერს.
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. პირველკურსელთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია:

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა – 2026 წლის 3-12 სექტემბერი.
2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 2026 წლის 3-12 სექტემბერი.

2. შემოდგომის სემესტრი:

1. სასწავლო მეცადინეობები – 2026 წლის 21 სექტემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2026 წლის 9 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით.
3. დოკუმენტური მასალის ჩაბარება – 2026 წლის 28 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით და 2027 წლის 8 იანვრიდან 9 იანვრის ჩათვლით.
4. დასკვნითი გამოცდები – 2027 წლის 11 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით.
5. დამატებითი გამოცდები – 2027 წლის 25 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით.
6. მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოკვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2027 წლის 11 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით.
7. არდადეგები: 2026 წლის 31 დეკემბერი – 2027 წლის 7 იანვარი, 2027 წლის 1 თებერვალი – 14 თებერვალი.

3. გაზაფხულის სემესტრი:

1. სასწავლო მეცადინეობები – 2027 წლის 15 თებერვლიდან 22 მაისის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2027 წლის 5 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით.
3. დოკუმენტური მასალის ჩაბარება – 2027 წლის 24 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით.
4. დასკვნითი გამოცდები – 2027 წლის 31 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით.
5. დამატებითი გამოცდები – 2027 წლის 14 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით.
6. მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოკვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2027 წლის 31 მაისიდან 19 ივნისის ჩათვლით.
7. არდადეგები: 2027 წლის 20 ივნისიდან.